“საქართველოში ძალაუფლების წყარო არის ხალხი და ამის ერთ-ერთი გამოხატულება არის რეფერენდუმი”[1]

გაზეთი “კვირის პალიტრა” – 4-10 მაისი, № 18, 2009

ქვეყანაში არსებული კრიზისის განმუხტვის შესაძლებლობებსა და გამოსავალზე, რომელიც ქვეყანას ჩიხიდან კონსტიტუციური გზით გამოიყვანს, „კვირის პალიტრას“ დამოუკიდებელი ექსპერტი ლადო პაპავა ესაუბრა. მან დახურულ შეხვედრებზე ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც შესთავაზა რეფერენდუმის ჩატარება, რომელიც გაარკვევს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას სურს თუ არა ვადამდე საპრეზიდენტო არჩევნები.

– საქართველოში სახეზე გვაქვს არა უბრალოდ პოლიტიკური, არამედ სახელმწიფოებრივი კრიზისიც. სახელმწიფოებრივია კრიზისი, როდესაც პრეზიდენტი ვერ შედის თავის ოფისში, როდესაც თბილისში მთავრობა სხდომებზე ვერ იკრიბება და გადის რეგიონებში. ლამის ერთი თვეა, რაც პარლამენტის სხდომა არ ჩატარებულა. ფაქტობრივად, კანონშემოქმედებითი საქმიანობა არ ხორციელდება. ბუნებრივია, ასეთი სახელმწიფოებრივი კრიზისი უნდა განიმუხტოს. ჩემი ხედვით, ეს კონსტიტუციის ფარგლებში არის შესაძლებელი. კერძოდ, კონსტიტუციის მე-5 მუხლში გვაქვს ძალზე კარგი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საქართველოში ძალაუფლების წყარო არის ხალხი და ამის გამოხატვის ერთ-ერთი მექანიზმი რეფერენდუმია. ეს გახლავთ იდეალური ჩანაწერი, რომელიც კონსტიტუციონალიზმის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმას აკმაყოფილებს.

ყოველდღიურად 200 ათასი კაციც რომ იდგეს თბილისის ქუჩებში, ხელისუფლება მაინც იტყვის, რომ ეს არ არის მთელი საქართველო და რომ ხელისუბლებას ბევრად მეტი მხარდამჭერი ჰყავს. ამიტომ საჭიროა, გაირკვეს, რას ფიქრობს ხალხი... სურს თუ არა მას ვადამდე საპრეზიდენტო არჩევნები.

---

[1] ეს ინტერვიუ “კვრის პალიტრამ” ტრადიციულად დაბეჭდა შემოკლებითა და დამახინჯებით. აქ მოცემულია ინტერვიუს სრული და დაუმახინჯებელი ტექსტი.

რეფერენდუმს წინ უნდა უძღვოდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეიცვალა, კოალიციური მთავრობის შექმნა, სადაც ოპოზიის ნდობით აღჭურვილი პირები შევა, და თანაც რეფერენდუმი საერთაშორისო ორგანიზაციების გაძლიერებული მონიტორინგის ქვეშ უნდა ჩატარდე. ყოველივე ამან უნდა შექმნას რეფერენდუმის შედეგებისადმი საყოველთაო ნდობის აუცილებელი ფონი.

ეს ხომ არ არის ჩვეულებრივი ამბავი, რაც მოხდა: ქვეყანამ რუსეთთან ომი გადაიტანა, დაკარგა სოფლები, დაიღუპნენ ადამიანები, განადგურდა არაერთი ძირძველი დასახლებული პუნქტი, გვყავს დევნილები, რუსეთმა ცნო აფხაზეთის და ოსეთის დამოუკიდებლობა. მართალია, ჩვენ დასავლეთის დიდი და სერიოზული მხარდაჭერა გვაქვს, მაგრამ ამ პირობებში პრეზიდენტმა უნდა გაარკვიოს, საკუთარი მოსახლეობა მას სათანადო ნდობას უცხადებს თუ არა. ხელისუფლება დარწმუნებული რომ იყოს იმაში, რომ მოსახლეობა მას ნდობას კვლავაც უცხადებს, ამისათვის უნდა დაინიშნოს რეფერნდუმი. ხალხი თუ მიხეილ სააკაშვილ მხარს აღარ უჭერს, მაშინ მის პრეზიდენტობას არავითარი ფასი აღარა აქვს, რადგანაც ამ შემთხვევაში ცხადია, რომ ქვეყანა კატასტროფისაკენ მიექანება. წარმოგიდგენიათ ხელისუფალი, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ ენდობა?!

– მხოლოდ ვადამდე საპრეზიდენტო არჩევნებზე რატომ ლაპარაკობთ?

– მართალი ბრძანდებით. კონსტიტუციის მე-5 მუხლში რეფერნდუმის გზით მხოლოდ ვადამდე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შესაძლებლობაზე არ არის მითითებული. მაგრამ, დღეს ქუჩაში მდგომი ხალხი მხოლოდ პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს და არა ვთქვათ, დავით ბაქრაძის... რეფერენდუმის შედეგები არის სავალდებული, იმიტომ, რომ ეს არ არის პლებისციტი და მე ვფიქრობ, რომ მისი საშუალებით ქვეყანაში ვადამდე საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნება.

– ამასთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლებს თუ გაუზიარეთ თქვენი მოსაზრებები?

– დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბს გვქონდა შეხვედრა დავით ბაქრაძესთან და დიმიტრი შაშკინთან, სადაც მათ ჩვენი შეხედულებები გავუზიარეთ. მათი რეაქცია იყო უარყოფითი. ფაქტობრივად მათ აღიარეს, რომ ეს საკითხი ისევე არ განეკუთვნება განხილვის საგანს, როგორც ვადამდე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. სხვათა შორის, ოპოზიციის ლიდერებთანაც დავაფიქსირე ჩემი ეს შეხედულება და რეფერნდუმის იდეას

ისინი დუმილით შეხვდნენ. პოზიტიურად მხოლოდ ევროკავშირის ელჩები აღიქვამენ რეფერენდუმის ჩატარების იდეას სწორედ იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ ეს არის ხელისუფლების შეცვლის კონსტიტუციური გზა, რომელიც გასაგებია ევროპული და არა მარტო ევროპული დემოკრატიისათვის.

– ოპოზიციის ნაწილი ეჭვობს, რომ რეფერენდუმის იდეას ხელისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუკი მიხეილ სააკაშვილს არჩევნებში მესამედ მონაწილეობის შანსი მიეცემა. ოპოზიცია არ გამორიცხავს, ხელისუფლებას შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილების სურვილი რომ გაუჩნდეს...

– ამის გამორიცხვაც არ შეიძლება, თუმცა ამ ეტაპზე ასეთი საფრთხის ალბათობა დაბალია. ოპოზიციური მუხტი იმდენად ძლიერია, ვეჭვობ, ხელისუფლებას მსგავსი თავხედობა ეყოს... ასეთ შემთხვევაში ის ხალხის აზვირთებულ ტალღას ვერ შეაჩერებს.

– რამდენად შეიძლება ოპოზიციის მარცხად ჩაითვალოს ის, რომ თანდათან აქციის მონაწილეთა რაოდენობა შეთხელდა, გამოხატულ პროტესტს კი ხელისუფლების მხრიდან არაფრის დათმობა არ მოჰყოლია?

– ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის თუ არ შედგა შეთანხმება რაღაც საკითხებზე და ხელისუფლებამ ისე გადაწყვიტა საკნების აღება, ეს ხალხის კიდევ უფრო მეტ მღელვარებას გამოიწვევს. საკმარისია, მძიმე ტექნიკის მიყენება საკნებთან, რამდენიმე საათში ყველა მათგანი ხალხით გაივსება. აქ არის ძაღლის თავი ჩამარხული... თანაც, ოპოზიცია თუ დამარცხდა, ეს ძალიან ცუდი იქნება. ქართველ ხალხს უფრო ძლიერი პროტესტის გრძნობა დაუგროვდება და ბევრად უფრო აგრესიული ოპოზიციის მოლოდინი გაუჩნდება. ასეთი ოპოზცია კი მხოლოდ საკნების ქალაქით არ შემოიფარგლება. ხელისუფლებას თუ ჭკუა აქვს, ამ ე.წ. რადიკალურ ოპოზიციას უნდა გაუფრთხილდეს და გააძლიეროს. ეს არის პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული ოპოზიცია, რომელიც ქვეყნის უფსკრულში გადაჩეხვასა და სისხლის ღვრის პროვოცირებას ერიდება. და თუ ეს ოპოზოციოა დამარცხდა ხალხში უფრო აგრესიული საპროტესტო მუხტი გაღვივდება. ხოლო უფრო აგრესიულ საპროტესტო მუხტს კი, სავარაუდოდ, უფრო აგრესიული ლიდერებიც გამოუჩნდება...

ეკა ასათიანი